პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 123 (18665) კვირა, 29 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვამტკიცოთ მინოდების დისციპლინა

დაუშვებელია როგორც ხარისხიანი ნაწარმის მინოდების გეგმის შეუსრულებლობა, ისე სახელშეკრულებო ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება და იმ უხარისხო პროდუქციის დავალების გადაჭარბებით გაგზავნა, რომელსაც ვერაფერში ვერ გამოიყენებენ, — ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში, მომსახურების სფეროში, არასამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში მინოდების დისციპლინის განმტკიცებას მიეძღვნა.

დღეს სავაჭრო ქსელში 278 მილიონი მანეთის ზენორმატიული ნარჩენებია. მრეწველობაში ვერ საღდება 60 მილიონი მანეთის საერთო ღირებულების ნაწარმი. შევნიშნავთ: ყოველი მეხუთე მათგანი გამოშვებულია 1981 წელს. და საქმე ის კი არ არის, რომ ისინი მოდიდან გაშოვიდა. უკვე მათი წარმოებისას არ გაუთვალისწინებიათ მოთხოვნა, ამზადებდნენ უხარისხოდ, ულანგავდნენ ენერგიას, ნედლეულს, ათასობით კაცის შრომას.

თათბირის მონაწილეებმა — პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, საბჭოთა ორგანოების, სანალხო კონტროლის, პროფკავშირული კომიტეტების, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა ერთხმად განაცხადეს: მინოდება უნდა სრულდებოდეს ხარისხიანად და დროულად. მაგრამ საქმის ვითარება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს: მიმდინარე წლის ოთხ თვეში დაგეგმილი ნომენკლატურის 75 სახეობის ნაწარმიდან რესპუბლიკის ინდუსტრიამ ვერ შეასრულა 40 სახეობის პროდუქციის მინოდების დავალება. 9 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმი დააკლეს მომხმარებელს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო ფაბრიკებმა, რომლებმაც 415 პროცენტით შეასრულეს მამაკაცის კოსტიუმების შეკერვის დავალება, თავი ვერ გაართვეს სხვა სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმებს.

ვერ უზრუნველყოფენ ასორტიმენტს, დაბალია მასობრივი მოთხოვნის საქონლის ხარისხი. მას საწარმოები. ურიტმოდ, სეზონური მოთხოვნების გაუთვალისწინებლად გზავნიან — ასეთი პრეტენზიები წაუყენეს თავიანთ მიმწოდებლებს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკებმა, რომლებისთვისაც საქონელბრუნვის გეგმების შეუსრულებლობა ქრონიკული მოვლენა ხდება. მრეწველობასაც აქვს ბევრი პრეტენზია სავაჭრო ორგანიზაციებისადმი.

სწორედ ამიტომ თათბირზე სრულიად პრინციპულად ითქვა, რომ საჭიროა ერომანეთისათვის გადაბრალებებიდან და პრეტენზიებიდან გადავიდნენ ერთმანეთის დახმარებაზე, პრობლემების კომპლექსურ გადაჭრაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხშირად იმიზეზებენ ნედლეულისა და მასალების დაკლებას, მომიჯნავეთა უგერგილობას და ა. შ.

დადგენი მაგალითად მოიყვანეს ასეთი ფაქტი: ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში უკვე მრავალი წელია რიტმულად სრულდება მომხმარებლისათვის პროდუქციის მინოდების გეგმები— მომხმარებელი კი ქარხანას ასობით ჰყავს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. საწარმოს ხელმძღვანელებმა შეძლეს მოეგვარებინათ ერთობლივი მუშაობა ნედლეულისა და მაკომპლექტებელი დეტალების მიმწოდებლებთან, ტრანსპორტის მუშაკებთან, ყოველდღიური კონტროლი დაუწესეს დავალებათა რეალიზაციას, ადგენენ მინოდების ოპერატიულ რუკებს.

ამავე დროს მომმარაგებლებს, რომლებმაც იციან, თუ რა უნდა ეძებონ, ხშირად წარმოდგენა არ აქვთ, რა მიმართულებით უნდა წარმართონ ეს ძიება. მაგალითად, თბილისის მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა აკლებს მომხმარებელს პროდუქციას რეზონანსული მერქნის ნაკლებობის გამო, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოდის, ხოლო სატყეო მეურნეობის სამინისტრო, პირიქით, ამ სახეობის ნედლეულის მომხმარებელს დაეძებს.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაეკალათ უზრუნველყონ, რომ ყველა საწარმო უთუოდ ასრულებდეს დადგენილი ასორტიმენტით პროდუქციის წარმოებისა და მისი მიმოდების გეგმებს, ზრდიდეს იმ ნაწარმის გამოშვებას, რომელზეც მოთხოვნაა.

სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მუშაობა მზა პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების ზენორმატული ნარჩენების ლიკვიდაციისათვის, არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის, მიიღონ მკაცრი ზომები იმათ მიმართ, ვისი მიზეზითაც დაშვებულია ეს ხარჯები.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. კავსაძე და ო. ივანაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ხაბეიშვილმა.

(საქინფორმი).



კამჩატკის პეტროპავლოვსკი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის ვულკანოლოგიის ინსტიტუტი ვულკანების ამოფრქვევას სწავლობს. მისი წარმატებული მუშაობის შედეგია, რომ ვულკანური კატაკლიზმები მოულოდნელი აღარ არის.

ამას წინათ ამოიფრქვა კლუჩევსკის ვულკანი, რომლის კონუსი 4 ათას 800 მეტრზეა აღმართული. ამ სიმაღლეზე ქვესკნელის მძლავრ ძალებსაც კი არ ძალუძთ მაგმის ატყორცნა, და ამიტომ იგი მთის ფერდობებს არღვევს და იქიდან მოედინება, ისე ხდება თანამდევი ამოფრქვევები. სურათზე თქვენ ხედავთ, რომ 1000-მდე გრადუსის მქონე ლავა ნიაღვრად ეშვება ქვემოთ.

ნოვგოროდის ოლქში დამთავრდა საყოფაცხოვრებო სამსახურის სპეციალიზაცია. ახლა ძირითად სახეობათა მომსახურებას, როგორიც არის ტელევიზორებისა და ხოჯახო ტექნიკის შეკეთება, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკეთება, ჭიმიური წმენდა, საწარმოო გაერთიანებანი ასრულებენ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრმა საწარმომ შემკეთებლებისათვის უფრო მოსახერხებლად შეცვალა სამუშაო საათები.

სურათზე: საწარმოო გაერთიანება „ილმენის“ სამხატვრო სახეობა ახალი მოდელის საზაფხულო ტანსაცმელზე მსჯელობს.

ჩვენს ქვეყანაში

გვეტყობინებენ საქმესის კორესპონდენტები

ვოლოსოვო. (ლენინგრადის ოლქი). „გომოტოვოს“ გაერთიანებაში შექმნილი სადისციპლინო კომისიები მეურნეობებს ხელს უწყობენ საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებისაში. ისინი უყურადღებად არ ტოვებენ სამუშაოზე დაგვიანების ან სამუშაოს გაცდენის არც ერთ შემთხვევას, განიხილავენ დაფიქსირთა საქმეებს. აქტივისტები რეგულარულად აწყობენ რეიდებს სამუშაო დროის გამოყენების შესამოწმებლად. თამთა საქმიანობამ არსებითი შედეგები გამოიღო: გაერთიანებაში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ზაპოროჟიე. „ზაპოროჟტრანსფორმატორის“ გაერთიანებაში აშენდა საბავშვო კომბინატი. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემით აქ გადაწყდა ნორჩების ბაგიბსა და ბაღებში მოწყობის პრობლემა. ათასეულ სამავშვო სკოლამდელ დაწესებულებაში იზრდება დაახლოებით 1700 ბავშვი. ამან მნიშვნელოვნად შემაცირა მშრომელთა სამუშაო დროის დანაკარგები, რაც ბავშვების მოვლასთან არის დაკავშირებული.

ლენინგრადი. ბალტიის ორჯონიკიძის სახელობის გემთსაშენებელ ქარხანაში გაბურებული მუშაობაა — აქ შენდება ახალი გიგანტური ატომური აყინულმბრეული „როსია“.

ლენინგრადელი გემთმშენებლებისათვის ეს მეთერთმეტე ხუთწლედის უნიშვნელოვანესი შეკვეთაა. ახლა მათ ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა ვადამდე ჩაუშვან წყალში ატომმავალი.

სურათზე: ვლადიმერ ვასილევიჩის (წინა პლანზე ცენტრში) გემის ამწყობთა კომუნისტური შრომის ბრიგადა.

ნიკოლაევი. ნიკოლაევის თიხამფის ქარხნის კოლექტივმა ვადამდე აითვისა მოწყობილობის საპროექტო სიმძლავრე. ასეთი ტექნოლოგიური ხაზის მონტაჟის, გაშვებისა და გაწყობის კარგი ორგანიზაციის, მონათესავე ქარხნებში კადრების წინასწარი მომზადების შედეგი.

კენზა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბურთულიანი გაზის ონკანის მასალატევადობა, რომელთა სერიული წარმოება დაიწყო პენზის მძიმე მრეწველობის არმატურის გაერთიანებამ. ყოველი ასეთი აგრეგატი, რომელიც განკუთვნილია ურენგოი-პომარი-უჟგოროდის მშენებარე გაზსადენისათვის, ახლა დაახლოებით ორ ტონას იწონის, ნაცვლად ოთხისა. ამწეს შეუძლია ამოქმედოს ავტომატურ რეჟიმში და უფრო მაღალი წნევით უზრუნველყოს ნედლეულის ტრანსპორტირება.

ულიანოვსკი. (მოლდავეთის სსრ.). მოლდავეთის სლობოძეის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აგროქიმიურ სამსახურთან ანგარიშგასწორება საბოლოო შედეგის მიხედვით დაიწყო. გაერთიანების მეურნეობებში ეკონომიკური ურთიერთობის ასეთი სისტემა რესპუბლიკაში პირველად ინერგება. იგი ითვალისწინებს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ პარტნიორთა ორმხრივ დაინტერესებას მოსავლის გადიდებით. მისი გავრცელების მეთხებით შარშან მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეულის წარმოება.

ბაკო. აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა მთის ფერდობების გასაგაგრებლად გამოიყენეს ელდარის ფიჭვის უნარი დააგროვოს ტენი და დაიცვას ნიადაგი ეროზიისაგან. მათი წინადადებით ახლა ტერასებზე რგავენ ამ მარადმწვანე წიწვოვან ხეებს, ნუშს, ფისტასა და ზეთისხილს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეებისა და კლიმატოლოგების რეკომენდაციებით ნერგების მასობრივ რგვას შეუდგნენ დიდი და მცირე კავკასიონის მთისწინეთში.

მოსკოვი. მოსმშენ-16-ის კოლექტივს მოცდენების შემცირებაში, წარმოების კულტურის გაუმჯობესებაში დაეხმარა მომჯანავებთან მჭიდრო თანამშრომლობა. ტრასტის სპეციალისტები ობიექტს დაპროექტების სტადიიდანვე ეცნობიან. ეს მშენებლებს დროის მნიშვნელოვან რეზერვს აძლევს მოედნის მომზადების, სამუშაო ადგილების რაციონალური ორგანიზაციისათვის.



იალტის ვინდსერფინგ-კლუბის სპორტსმენები ვარჯიშობენ.

ეფექტიანობა დაგეგმვით იწყება

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

ფულუკიძის ქუჩაზე ახალ სკვერში გასეირნებისა და დასვენების მსურველებს ეგებებათ ვაზის ტალავერი, წითლად ... წყლული ბილიკები. ეს საჩუქარი თბილისელებს უძღვნა 26 კომისრის სახელობის რაიონის გამწვანების კანტორამ ყვავილების ტრადიციული დღესასწაულისათვის, რომელიც ქალაქში 28 და 29 მაისს იმართება.

დღესასწაული ეწყობა თბილისის პარკებსა და სკვერებში, ქუჩებსა და მოედნებზე, რომლებიც აგრონომ-დეკორატორებს ყვავილნარებითა და გაზონებით მოურთავთ...

დღესასწაულის ეპიცენტრი გახდა ყვავილების სახლი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. გამწვანების ყოველმა კანტორამ მოაწყო აქ თავისი კუთხე, ჩაქსოვა მუშაობაში სიყვარული და ფანტაზია.

ამიერიდან ყვავილების სახლში იქნება მუდმივი ექსპოზიცია, რომელიც წელიწადის დროთა ცვლის კვალობაზე შეიცვლება ხოლმე. იგი გახდება ცენტრი, რომელიც გააერთიანებს მეცხიერებს, მწვანე მშენებლობის სპეციალისტებს.

მარტო თაიგულების შექმნის, კუთხეების გაფორმების ხელოვნებით დატკბობისათვის როდი მოსულან სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბუნების მრავალრიცხოვანი მოყვარულები. აქ ისინი მიიღებენ რჩევას, როგორ უნდა მოუარონ ყვავილებს, შეიძენენ მათ.

სავაჭრო ორგანიზაციებმა გასაყიდად გამოიტანეს 50 ათასი ყვავილი. მათ შორისაა ვარდები, მიხაკები, გერბერები, პეონები... ყვავილები იყიდება ქალაქის მაღაზიებში, სკვერებსა და პარკებში და, რასაკვირველია, გამოფენის ტერიტორიაზე, ყვავილების სახლთან.

ამ დღეს ყვავილები თბილისის სიმბოლო გახდა.

28 მაისს ყვავილების დღესასწაულში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა იმავე დღეს დაათვალიერეს რესპუბლიკის მთელი რიგი ახალშენებლობანი. ისინი იყვნენ ექსპერიმენტულ სამავშვო ბაღში, დაათვალიერეს ახალი საკურაო აუზი კიროვის რაიონში, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა კალინინის რაიონში, ქალაქის ახალი სკვერები და დეკორატიული კუთხეები.

დღეს ყვავილების დღესასწაული გრძელდება. (საქინფორმი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ღონისძიებათა შემადგენელი ნაწილია საშუალო სიმაღლის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განლაგება, რომელიც 1983 წლის დამლევისათვის არის დაგეგმილი. ეს რაკეტები, რომლებსაც შეუძლია დაიზიანოს ობიექტები საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სიღრმეში, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ბირთვული არსენალის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ეს ფაქტი, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ინიციატივა ევროპაში ბირთვული არსენალის ეტაპობრივ შემცირებასთან დაკავშირებით, ფართოდ ცნობილია. ამ ინიციატივის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, ინფორმაციის ... ...

ვიმუშავებთ მომჭირნედ, ეფექტიანად

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს მატერიალური რესურსების მომჭირნე ხარჯვის საქმეში გარკვეული გამოცდილება აქვს. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენთან დღესდღეობით ყველაფერი ისე იყოს, როგორც ეს საჭიროა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე ჩვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკის მართებული აღქმა და საპირო დასკვნების გამოტანა ჩვენი კოლექტივის, ყოველი მეტალურგის უპირველეს, გადაუდებელ საქმედ გვესახება. ავიღოთ, თუნდაც, მარტენის საამქრო, სადაც მე ვმუშაობ. პირველ კვარტალში გადავხარჯეთ დიდძალი რკინის ბურბუშელა და ხენჯი, თხევადი თუჯი და ბუნებრივი აირი, მაზუთი და ტექნიკური წყალი. ამან, ცხადია, ფოლადის თვითღირებულება გააძვირა. ერთი ტონა ფოლადის გამოდნობაზე თუ 107 მანეთი და 27 კაპიკი უნდა დახარჯულიყო, ფაქტობრივად 108 მანეთი და 2 კაპიკი დაიხარჯა. ასე რომ, გადახარჯვამ საკმაო თანხა შეადგინა.

ცნობილია, რომ წარმოების ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება აუცილებლად მოითხოვს ხარჯვის ნორმების გადასინჯვასაც, რაც ყოველთვის როდი ხდება. მაგალითად, ბოლო სამი წლის განმავლობაში იხარჯება` ნორმით გათვალისწინებულზე მეტი აირი — 1 ტონა მზა ფოლადზე 8 კუბური მეტრი აირის ნაცვლად ვიყენებთ 16-17 კუბურ მეტრს. საქმე ის გახლავთ, რომ საამქროში დაინერგა ჩამოსხმის ახალი ხერხი შიბერებით ჩამოსხმა. სიახლის შედეგად შემცირდა მუშაპელი, გაუმჯობესდა მუშაობის პირობები. დიახ, დადებითი სპარბობს უარყოფითს, მაგრამ აირის გადახარჯვის ფაქტს მაინც ვერსად გავექცევთ.

ვინ არ იცის, რომ ახალი ტექნიკის დანერგვას თან ახლავს სიძნელეები, გარკვეული ხარჯები, მაგრამ, თუკი ამ ღონისძიებამ სამომავლოდ კარგი შედეგები უნდა მოგვიტანოს, ამ სიძნელეებს არ უნდა შევუშინდეთ, მაშინაც კი, თუ იგი დღევანდელ მაჩვენებელზე უარყოფითს გავლენას მოახდენს.

სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების „ხარჯვის პარტიული კონტროლის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ციცხვების გაშრობის ტექნოლოგიის შეცვლის შესახებ. იგი მრავალ სიძნელეებთან და ხარჯთან არის დაკავშირებული. მაგრამ მისი განხორციელების სიკეთეც უდავოა. ნაკლებად დაიხარჯება ძვირად ღირებული სათბობი, 1.200-1.300 კუბური მეტრით შემცირდება აირის ხარჯი საათში. ეს კომისიის საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარეა. კომისიას მეტად ფართო და საინტერესო პროგრამა აქვს. იგი ითვალისწინებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, თუჯის, ჯარითის, გამჟანგველების რაციონალურ ხარჯვას, მისი ნორმების შემცირებას.

ფეროშენადნობთა ხარჯის შემცირებისათვის ღუმლებზე დაიდგა ორი დეზატორი. ეს დანადგარები რომ ყველა ღუმელზე დამონტაჟდეს, მაშინ საჩამოსხმელო ამწეები ნაკლებად მოცდებოდნენ, ხოლო ძვირად ღირებულ ფეროშენადნობთა გადახარჯვა დიდად შემცირდებოდა. მუშაობა ამ მიმართებითი გრძელდება. შემოღებულია აგრეთვე ციცხვებისა და საწიდურების ტორკეტირება, რაც ციცხლგამძლე მასალების დიდ ეკონომიას გვაძლევს.

ცნობილია, რომ მასალების ხარჯვა უშუალოდ არის დაკავშირებული პროდუქციის ხარისხთან. ჩვენთან, შიდასაქარხნო ტექნიკური პირობებით, ყოველი პროცესი ისე ჯაჭვურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ნებისმიერ უბანზე მასალების გადახარჯვა და მის შედეგად მიღებული უხარისხო ნაწარმი გავლენას ახდენს მომდევნო საწარმოო პროცესზე და, საბოლოო ანგარიშით, ვნებს ძირითად პროდუქციას. არაკონდიციური თუჯის მიღება, რაშიც ბრალი მიუძღვით, ვთქვათ, კოქსქიმიკოსებს, მარტენის საამქროში იწვევს ფხვიერი მასალებისა და თუჯის გადახარჯვას, ამასთანავე აუარესებს ხარისხს. უხარისხო ფოლადისაგან კი უხარისხო მილები მზადდება, რაც ლითონის დამატებით ხარჯვას და შეკვეთების შეუსრულებლობას იწვევს.

უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ეს ორი საკითხი — შავი ლითონების გადახარჯვა და შეკვეთების შეუსრულებლობა არის ჩვენი კოლექტივის მუშობის ყველაზე ჩრდილოვანი მხარე. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული ბიუროს სხდომაზე სწორედ ამის შესახებ იყო მსჯელობა. აქ ჩვენი საწარმო შეკვეთების შეუსრულებლობის გამო სამართლიანად გააკრიტიკეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე გამოსასვლელად მზადების პერიოდში საინტერესო საუბრები მქონდა ჩემს კოლეგებთან — მეფოლადეებთან, მებრძმედეებთან, მგლინავებთან, მილმგლინავებთან. საგანგებოდ შევხვდი ქარხნის პარტიულ კომიტეტში სპეციალისტებს, მთავარ ინჟინერს, პარტიულ ხელმძღვანელებს. იყო საქმიანი, გულახდილი მსჯელობა ყველა ჩვენს მტკივნეულ საკითხზე, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე. დასკვნა ერთია — კოლექტივმა იცის თავისი ამოცანები, სუსტი ადგილები, ეძებს მათი გამოსწორების გზებს, რომლებიც, უნდა მოგახსენოთ, არცთუ ისე იოლია. ვემზადებით ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებისათვის, რომელზეც ამხანაგები იმსჯელებენ ნაკლოვანებებზე.

პროდუქციის ხარისხი და შეკვეთები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე რომ ავიყვანოთ, თანამიმდევრულად უნდა ვიზრუნოთ ქარხნის ხვალინდელ დღეზე — მის ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციაზე. საწარმოს ტექნიკური სრულყოფა თავისთავად მუშაობის პირობების გაუმჯობესების საფუძველია. დასამალი როდია, რომ ჩვენს საწარმოში ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ტექნიკურად დაბალი დონის სამუშაო უბანი, სადაც არ არის შექმნილი სათანადო პირობები შემოქმედებითი შრომისათვის.

ტექნიკური განახლების ცნობილ ორმხრივ ღონისძიებათა განხორციელება უფრო გეგმიანსა და კონკრეტულს გახდის ჩვენს საქმიანობას ქარხნის ტექნიკური სრულყოფის საქმეში.

არაგისთვის სადავო არ არის ის უდიდესი როლი, რომელიც კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს აკისრია შრომის სწორი ორგანიზაციის, მასალების რაციონალური ხარჯვის საქმეში. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენთან ჯერ კიდევ მოიკოჭლებს მუშაობა. ჯერ კიდევ ისე ვერ წარვმართეთ ეკონომიკური და პარტიული გაათლების სკოლების მუშაობა, რომ თითოეულ ჩვენგანს შეგნებული ჰქონდეს თავისი კონკრეტული როლი და გამოავლინოს მისწრაფება ეკონომიკური საკითხების ცოდნისადმი, ურომლისოდაც დღეს წარმოუდგენელია წარმატება.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ის, რომ ქარხანაში დაგეგმარებისა და ეკონომიკური სამსახურის მუშაობაც ჯეროვნად არ არის დაყენებული. ხშირად გვაკლია ესა თუ ის მასალა, ზოგჯერ კი იმდენს ვღებულობთ, რომ ზედეტიც რჩება და გვაჯარიმებენ კიდეც ზენორმატიული მასალების დაგროვებისათვის. თუ მასალების ნაკლებობა ან სიჭარბე მათი ურიტმო მოწოდების ბრალია, ამასთან ზენორმატიული ნაშთების არსებობაც ერთგვაროდ ობიექტურად გვეჩვენება, მაშინ ქარხანაში დაგროვილი უხარისხო, ჯერ კიდევ გაუსაღებელი პროდუქციისა ხომ ჩვენს სინდისზეა?

სიტყვამ მოიტანა და, მინდა დავუბრუნდეთ ამ საკითხს. ეს ბევრ ადგილზე ასეა. ბევრ ადგილზე ასეა, ამ ბოლო ხანებში ეს ფენომენი ფესვებს ამაგრებს. ეს ფენომენი ეწინააღმდეგება ჩვენ ადგილობრივ ინტერესებს, ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს. ეს ფენომენი ეწინააღმდეგება ეროვნულ ეკონომიკურ

ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲣᲚᲔᲑᲐ

ᲗᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრში 30 მაისს ᲑᲐᲜᲘᲡᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲮᲒᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ. ᲐᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ „ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ“ ᲔᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲒᲔ Ⲁ. ᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— ასეთი სახის ფესტივალი ჩვენს დედაქალაქში პირველად ეწყობა და ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ფესტივალში 14 სახელმწიფო დრამატული თეატრი მონაწილეობს. მათ უნდა წარმოადგინონ თითო სპექტაკლი — ბოლო სამი წლის მანძილზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები.

საფესტივალო რეპერტუარი ვრაცალფეროვანია როგორც თემატურად, ასევე ჟანრობრივი თვალსაზრისით. მაყურებელი გაეცნობა რუსულ და უცხოურ კლასიკას, თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიას, ქართველ ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე ორი პრემიერა გაიმართება. ერთია მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა მიხედვით, ხოლო მეორე სოხუმის ს. ჯანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი — კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“.

ფესტივალის გახსნას პატივი წილად ხვდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელმწიფო თეატრს. ქუთათურები მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანენ ა. არბუზოვის „ძველმოდური კომედიას“. 12 ივნისს კი ფესტივალი დაიხურება სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლით „უკეთუ გაცდუნებდეს“. დრამატურგ გ. ბათიაშვილის ეს პიესა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება.

ყოველი სპექტაკლის შემდეგ მოეწყობა საჯარო განხილვები, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ი. გამრეკელის თავმჯდომარეობით შექმნილია სპეციალური ჟიური, რომელიც ამა თუ იმ კოლექტივს პრემიებს მიანიჭებს საუკეთესო სპექტაკლისა და რეჟისურისათვის, მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, საუკეთესო სცენოგრაფიისა და მუსიკალური გაფორმებისათვის.

ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და თეატრალური საზოგადოება, საინტერესო და საყურადღებოა არა მარტო იმიტომ, რომ თბილისელ მაყურებლებს საშუალება ექნებათ მკაფიოდ შეიგრძნონ რესპუბლიკის თეატრების დღეგანდელი მაჯისცემა, არამედ იმითაც რომ თვალსაჩინოდ გამოვლინდებან, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ⲤᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ორდენოსან თეატრებს კიდევ ერთი თეატრი შეემატა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი დაჯილდოდა საპატიო ნიშნის ორდენით. ეს არის აღიარება თეატრის საუკუნოვანი შემოქმედებითი გზისა, მრავალი თაობისა, რომლებმაც საკუთარი მხრებით ზიდეს თეატრის ყველა ღირსება და შემოქმედებითი მიღწევა. ეს ჯილდო ეკუთვნის მსახიობებისა და რეჟისორების მრავალ თაობას, რომლებმაც შექმნეს იმის საფუძველი, რომ ბათუმის თეატრი ყოფილიყო მეთაური აჭარის ხელოვნების მუშაკთა იმ დიდი მიღწევებისა, რომლებმაც შეერჭერ იჩინა თავი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ამასთან, ეს ჯილდო იმის დიდი საწინდარიც არის, რომ ბათუმის თეატრი უწინდელივით ყოველთვის მოწინავე იქნება და წარმატებით გადაწყვეტს იმ ამოცანებს, რომლებსაც საბჭოთა ხელოვნებას უსახავენ კომუნისტური პარტია და ხალხი.

თეატრალური ხელოვნების საწყისებს აჭარაში, უძველეს დროში აქვს ფესვები. საერთოდ კი ხელოვნის სულით აქ ოდითგანვე სუნთქავდა გონიოსა და ხიხანის ქონგურები, სხალთის ტაძრის თეორი გუმბათი თუ ულამაზეს ხეობებში მიმობნეული თაღოვანი ხიდები, აჭარელი ქალის მიერ ფაქიზი ორნამენტებით ამოქარგული ფერადი წინდები და ფარდაგები, შეჭიბონე ქორახელას ნაღვლიანი სიმღერები.

ეს სული საუკუნეების განმავლობაში ღვივდებოდა. და აი, თეატრალური სცენიდან გადმოსული პირველი ექო. ეს იყო 1879 წელს.

იმ პირველი ქართული წარმოდგენის თაოსანი იყო ქეთევან ჟურული. სცენისმოყვარეებმა გაითამაშეს ზ. ანტონოვის კომედია „გაბა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“, სწორედ ამ სპექტაკლით იწყება ბათუმის თეატრის საუკუნოვანი გზა. იმავე ზაფხულს ბათუმელებს ხელნაწერი აფიშებით ემცნოთ, რომ მათთვის სპექტაკლებს გაართმევდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები ნ. გაბუნია, მ. საფაროვა, ა. ცაგარელი, დ. ყიფიანი და სხვები. ნიჭიერი მსახიობების ოსტატობით მოხიბლული მაყურებელი გულმხურვალედ ამოუდგა მხარში თეატრის საქმით დაინტერესებულ ქ. ჟურულს და ამ დღიდან მოყოლებული, ათასგვარი გაჭირვების მიუხედავად, ბათუმში ამპრობოდა ხოლმე სცენისმოყვარეთა სპექტაკლები. იყო ცდა პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებისაც, მაგრამ უშედეგოდ. თეატრალურ ცხოვრებას აცოცხლებდა ქართველ პროფესიონალ მსახიობთა გასტროლები, რომლებიც ნამდვილ ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე.

ბათუმში თეატრალური საქმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა მწერალმა დ. კლდიაშვილმა, რომელიც 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე საუკუნის დასაწყისამდე ხელმძღვანელობდა სხვადასხვა დრამატულ წრეს. ცხრაასიან წლებში განსაკუთრებით ამოქმედდნენ მუშათა სახალხო თეატრები, რომლებიც მთავანთი რეპერტუარით ეხმაურებოდნენ დროის მოთხოვნას. რეაქციის მძიმე წლებში შედარებით იშვიათად უჩვენებდნენ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებს, — მუშათა დრამატული წრეების წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ გამოსვლებში და ბათუმის თეატრის სცენა, რომელიც მაშინ „რკინის თეატრის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ძირითადად, ეთმობოდა გასტროლიორებს. 1912 წელს ბათუმში ჩამოყალიბდა პროფესიული დასი შ. დადიანის ხელმძღვანელობით, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დასი დაიშალა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა და თეატრისათვის არავის ეცალა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით აღდგა თეატრიც — მას ეწოდა „აკადემიური თეატრი“. დასში მოიწვიეს ცნობილი ქართველი მსახიობები და რეჟისორები ც. ამირეჯიბი, მ. მდივანი, ვ. არაბიძე, ვ. აფხაიძე, შ. ბეჟუაშვილი, გ. ფრონსპირელი, ვ. ანჯაფარიძე, მ. ქორელი, ა. ფალავა და სხვები. მოწვეული პროფესიული მსახიობებითა და რეჟისორებით თეატრი არსებობდა 1927 წლამდე.

1928-29 და 1929-30 წლების სეზონში ბათუმს მომსახურებას უწევდა ქუთაის-ბათუმის ქართული დრამის თეატრი, რომელსაც თვით კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. 1930 წლის გაზაფხულზე ბათუმში ისევ შეიქმნა ადგილობრივი დასი, თუმცა 1932 წლიდან 1937 წლამდე აქ მაინც არ არსებობდა მუდმივი სახელმწიფო დასი. ამავე წლებში მოქმედებდა აჭარის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი, სადაც დაიწყო მოღვაწეობა ახალგაზრდა რეჟისორმა შალვა ინასარიძემ, შემდეგ კი იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო თეატრში.

ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორია 1937 წლიდან იწყება. 1932 წელს ბათუმში საგასტროლოდ იყო რუსთაველის თეატრი ა. ახმეტელის ხელმძღვანელობით. მაშინ გადაწყდა რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში შექმნილიყო აჭარის სექცია, რომელიც მომზადდება მსახიობთა ჯგუფს ბათუმის თეატრისათვის. სტუდიელები რუსთაველის თეატრის დადგმებშიც მონაწილეობდნენ. სტუდიის დამთავრების შემდეგ მთელი ჯგუფი ერთი წლით დარჩა თეატრში და მოამზადა გ. მდივნის „ბრმა“ (დ. ალექსიძის დადგმა) 1937 წლის 18 მარტს. ამ სპექტაკლით საზეიმოდ გაიხსნა



აჭარის სახელმწიფო თეატრი, რომელსაც მოგვიანებით (1959 წელს) მიენიჭა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახელი. თეატრის სახლტაგრო ხელმძღვანელად დაინიშნა ა. ჩხარტიშვილი. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ბათუმის თეატრის შემოქმედებითი სახის ფორმირება. თეატრმა არჩია ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით შეძლო დაემკვიდრებინა საკუთარი ადგილი ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. მაყურებელთა მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ბერრული „ალაჯარი“ და „მოკვეთილი“, სიცოცხლით სავსე „სასტუმროს დისახლისი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „არსენა“, „თევრათ“ და სხვა.

დიდი სამამულო ომის წლებში თეატრმა რეპერტუარში შეიტანა ისეთი პიესები, რომლებიც მაყურებელს უნერგავდნენ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს და მტრისადმი სიძულვილს.

ბათუმის თეატრს ერთი მეტად კარგი ტრადიცია აქვს — ეს არის თეატრის შემოქმედებითი კონტაქტები აჭარაში მომუშავე მწერლებთან და დრამატურგებთან. ამ მეგობრობის საფუძველზე თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა მრავალი კარგი სპექტაკლი, მათ შორის: პ. ლორიის, ა. შერვაშიძის, ფ. ხალვაშის, ა. სამსონიას, შ. როყვას, ა. ჩხაიძის და სხვათა პიესები.

ბათუმის თეატრი სამართლიანად ამაყობს სპექტაკლით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ნ. დუმბაძის ეს ცნობილი ნაწარმოები საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს მიეძღვნა და ცხრა წლის განმავლობაში იდგმებოდა სცენაზე. სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა ჟურნალმა „თეატრმა“.

ყოველი რეჟისორის, მსახიობის, თეატრის ოცნებაა თავისი თავი გაიაროს ასეთ ფესტივალზე. ეს ოცნება ასრულებს ბათუმელ ხელოვანთა ოჯახს, ბ. ბ. ბ.

 კომუნისტი
საკავშირო ორგანული
ლენინური
ახალგაზრდული
ლენინური
ეროვნული
ეროვნული
ეროვნული